I თებერვალი

(19.I) წმ. ღირსი ანტონ მესვეტე, მარტომყოფელი, VIს

2020 შაბათი

2მეფ 12,1-7.10-17; ფს 50; მარ 4,35-41

მოძღვარო, არ გადარდებს, რომ ვიღუპებით? მარ 4,38

როდესაც მოგვეჩვენება, რომ იესო ვერ ამჩნევს ჩვენს ამა თუ იმ სირთულეს, როგორც შეემთხვათ ტბაზე ქარიშხალში მოყოლილ მოწაფეებს, მით უფრო ძლიერ ჩავეჭიდებით მას რწმენით: მით უფრო მტკიცედ გადავწყვეტთ, ხორცი შევასხათ მის სიტყვას, მადლობა მივუძღვნათ მამას, დავლოცოთ ძმები. იესო ყოველთვის ამჩნევს ჩვენს სიყვარულსა და სასოებას!

2 თებერვალი

უფლის ტაძრად წარდგენა (მირქმა), დ, [ს], თ

2020 კვირა

მალ 3,1-4; ფს 23; ებრ 2,14-18; ლკ 2,22-40

ბერ–მონაზონთა დღე

იხილეს ჩემმა თვალებმა შენი ხსნა ლკ 2,30

იესო, ვიცი, რომ მამამ ჩემს გულში დაგიდო ბინა, ზუსტად ისევე, როგორც სიმეონის მკლავებში. როდესაც დღეს ვიგრძნობ მიტევებისა თუ ბრძნული სიტყვის საჭიროებას, ან, როცა ესა თუ ის მსახურება გამიჭირდება, შენ მოგმართავ, ჩემი გულის ბინადარს: ვილოცებ კიდეც, ყურსაც დაგიგდებ, დაგიცდი და თავად შენ იმოქმედებ ჩემთან ერთად. იესო, მაცხოვარო ჩემო, სამარადისო დიდება შენდა!

3 თებერვალი

2020

რიგითი IV კვირა [IV] მწ

წმ. ბლაზი, ეპ. და წამ. +IVს.;
წმ. ანსგარი (ოსკარი), ეპ. +865.

ორშაბათი

2მეფ 15,13-14.30; 16,5-13; ფს 3; მარ 5,1-20

რა გინდა ჩემგან, იესო, ძეო უზენაესი ღვთისაო? მარ 5,6

ავი სულების სიტყვებია, რომლებსაც ერთ ადამიანში დაედოთ ბინა და ანადგურებენ მას. შენ, იესო, შეიბრალე იგი: გაათავი-სუფლე, ხოლო შემდეგ შენთან მოასვენე, დამშვიდებული და დაწყნარებული. გევე-დრები: ჩემგანაც განდევნე ყოველი სული ამაოებისა, კრიტიკისა, შურისა, წყენისა... მაშინ დავაგემოვნებ მამის დანატოვარს: შენთან ერთობაში ცხოვრების სიტკბოებას, ჭეშმარიტო სამოთხევ!

4 თებერვალი

2020

რიგითი IV კვირა [IV] მწ

სამშაბათი

2მეფ 18,9-10.14.21ა.24-25.30-32;19,1-3; ფს 85; მარ 5,21-43

ვინ შემეხო მე? მარ 5,31

ეს სიტყვა შემახსენებს ეკლესიის საიდუმ-
ლოებს. მათში თავად აღმდგარი იესო
გვეხება ჩვენ და გველაპარაკება, გვიწვდის
თავის სიყვარულს. გულით ვმადლობ მას
აღსარებისათვის. ამ საიდუმლოში მღვდე-
ლი, მისი სახელით, საკუთარი ხმით და
ჩემს თავზე ხელის დადებით მომიტევებს
და მიჩვენებს იესოს კვალში სავალ გზას.
ჩემი ბავშვობიდან მოყოლებული.

5 თებერვალი

რიგითი IV კვირა [IV]

წმ. აგათა ქალწ. და წამებ., +≈250 (მ) წ

2020 ოთხშაბათი

2მეფ 24,2.9-17; ფს 31; მარ 6,1-6

განა ეს ხურო არაა, მარიამის შვილი? მარ 6,3

იესოს მდაბალი და ყოველდღიური ცხოვრება ოცდაათი წლის განმავლობაში, შემდგომ რომ გადავიდა მის სახალხო მოღვაწეობაში მისი ღვთიური სიბრძნისა და სიყვარულის გამოცხადებით, აკვირვებს მის თანასოფლელთ, თუმცა ვერ ეხმარება მათ რწმენაში. თუკი ჩემი გული არაა თავმდაბალი და სპეტაკი, ვერც მე მივაღწევ ამგვარ მადლს. იესო, შემიწყალე!

6 თებერვალი

რიგითი IV კვირა [IV]

წმმ. პავლე მიკი და მეგ., წამ., +1597, (მ), წ

2020 ხუთშაბათი

3მეფ 2,1-4.10-12; ფს: 1ნეშ 29,10-12; მარ 6,7-13

დაიცავი უფლის რჯული, იარე მის გზაზე 3მეფ 2,3

ამას უბარებს დავით მეფე სიკვდილის წინ თავის ვაჟს, სოლომონს. ნეტავი, ამ რჩევას ატარებდნენ მშობლები გულით თავიანთი შვილებისათვის, რომელსაც პირველ რიგში თავად აღასრულებდნენ!
იესო, შენი სულიწმიდა მიანიჭე მშობლებსა და აღმზრდელებს: ისინი ხომ მიმართულებას აძლევენ ახალ თაობებს!

პარასკევი

ზირ 47,2-11(2-13); ფს 17; მარ 6,14-29

არ გერგება
შენი ძმისცოლი ცოლად მარ 6,18

იოანე ნათლისმცემელი, ღვთის კაცი, აფრთხილებს ჰეროდეს: ღვთის ნებისამებრ არ ცხოვრობს იგი. ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდება იოანეს. იესო, მადლობა იმ შენიშვნებისათვის, რასაც იმათი საშუალებით მაძლევ, ვისაც უყვარხარ; დამეხმარე, მუდამ ვღებულობდე მათ და სხვასაც გამოვადგე, რათა ვცხოვრობდეთ შენს მოსაწონად.

8 თებერვალი

2020

(26.I) წმ. დავით აღმაშენებელი, XI-XIIსს; / წმ. იერონიმე ემილიანი, +1537; / წმ. იოსეფინა ბახიტა, ქალწ., +1947

შ ა ბ ა თ ი

Იმეფ 3,4-13; ფს 118; მარ 6,30-34

დაინახა დიდძალი ხალხი და შეებრალა ისინი მარ 6,34

იესო გულისყურით უყურებს ყველას, მათ სულიერ და ხორციელ საჭიროებებს. ჯერ მათ სულს დააპურებს წმიდა სიტყვით, შემდეგ კი, თავის ზეციერ მამასთან ერთად, პასუხობს მათ შიმშილსაც.
იესო, შენა ხარ ყოველთა ნათელი!

9 თებერვალი

2020 კვირა

რიგითი V კვირადღე, «ა», [I], მწ

ეს 58,7-10; ფს 111; 1კორ 2,1-5; მთ 5,13-16

თქვენა ხართ მარილი მიწისა მთ 5,13

იესოს სწადია თავისი მოწაფეების საშუალებით მიანიჭოს ამ ქვეყანას „გემო“. ნამდვილად დიდია ჩვენი პასუხისმგებლობა! მაშ, შევეცდები იესოსთან ერთობაში ვიყო, რათა „შევკმაზო“ ჩემი დღევანდელი ურთიერთობები მისი სულით, სიყვარულის, სიხარულის, მშვიდობის, სულგრძელობის, კეთილმოსურნეობის, სიკეთის, ერთგულების, სიმშვიდის, თავის ფლობის, მიტევების სულით... ამგვარად ვინმე მაინც შეძლებს მამა ღმერთის სიცოცხლის დაგემოვნებას.

10 თებერვალი

რიგითი V კვირა [I]

წმ. სქოლასტიკა, ქალწ. +≈542 (მ), თ

2020 ორშაბათი

Იმეფ 8,1-7.9-13; ფს 131; მარ 6,53-56

ნავიდან გადმოსვლისთანავე იცნეს იგი იქაურებმა მარ 6,54

შეუძლებელია, იესო, ვინმეში აგვერიო: შენში ვპოულობთ სიყვარულის ძლიერებას. ამგვარად ხალხი ამოგიცნობს შენ; ჩვენც, ქრისტიანებსაც გვიცნობენ როდესაც, შენთან ერთობაში, გვექნება ერთმანეთისა და ყველასადმი სიყვარული.

თებერვალი

რიგითი V კვირა [I] მწ

(29.I) წმ. აშოტ დიდი კურაპალატი, წამებ., +826;
ლურდის ღვთისმშობელი (უმანკო ჩასახება)1858

სამშაბათი

3მეფ 8,22-23.27-30; ფს 83; მარ 7,1-13

სნეულთა დღე

ნუთუ ნამდვილად იმკვიდრებს მიწაზე ღმერთი? 3მეფ 8,27

იმავე გაკვირვებით შეგვიძლია ვთქვათ: დიახ, სწორედაც რომ მართალია, რომ ღმერთი მკვიდრობს ჩვენში. მან ხომ ინება ყოფილიყო მისი სახელით შეკრებილ საკრებულოში, ევქარისტიაში, თავად ადამიანის გულში. „დაე, ქრისტე მკვიდრობდეს რწმენით თქვენს გულებში“, ლოცულობს ჩვენთვის წმ. პავლე.
მზადაა კი ჩემი გული? მარიამ, ღვთის უმანკო ტაძარო, ილოცე ჩემთვისაც!

12 თებერვალი

2020

რიგითი V კვირა [I] მწ

ოთხშაბათი

3მეფ 10,1-10; ფს 36; მარ 7,14-23

მისმინეთ ყველამ და შეიმეცნეთ მარ 7,14

ღვთის ძის ძალმოსილებით აცხადებს იესო, რომ ყველა საკვები სუფთაა. მისი მოწაფეებისათვის, რომლებიც ებრაელ ხალხს ეკუთვნოდნენ, ეს გაუგონარი სიახლე იყო. იესოსთვის ხომ მასთან, უფალთან, ურთიერთობას ის კი არ აზიანებს, რაც პირში შედის, არამედ ის, რაც ჩვენი პირიდან და გულებიდან გამოდის გვაშორებს მისგან. პირველი რამ სიძვაა: ვისაც სხეული ეგოისტური ტკბობის წყარო ჰგონია, თავს განიკვეთავს მადლისმიერი ცხოვრებისაგან.

ხუთშაბათი

3მეფ 11,4-13; ფს 105; მარ 7,24-30

სად გაგონილა შვილებს წაართვა და ძაღლებს მიუგდო პური მარ 7,27

იესო ამ სიტყვებით მიმართავს ერთ წარმართ ქალს, რომელიც ევედრება მას, ეშმაკისგან განუკურნოს ქალიშვილი. ეს სიტყვები გვიდასტურებს, რომ იესო ერთგულია იმ მამის ნებისა, რომელმაც ისრაელის ერთან მოავლინა იგი; იესომ უწყის, რომ თანხმობისა და დაყოლის გარეშე არ არსებობს კურთხევა. ეს სიტყვებივე გვიჩვენებს იმასაც, რომ სასოებით სავსე ლოცვას ბევრი რამ ძალუძს და, რომ თავმდაბლობაა რომ ამარცხებს მტერს.

14 2020

თებერვალი

წმმ. კირილე, ბერი (+859) და
მეთოდი, ეპისკოპოსი (+885)
ევროპის მფარველნი, დ, [ს] თ

პარასკევი

საქმ 13,46-49; ან. ეს 52,7-20; ფს 116; ლკ 10,1-9

ანუგეშა უფალმა თავისი ერი ეს 52,9

რაოდენი სიხარულია, რომ ვართ ეკლესია, უფლის ერი, ოჯახი, რომელსაც თავად უდგას სათავეში, უნათებს, აპურებს, იცავს, ანუგეშებს... ეს მადლი სასოებითა და სიმშვიდით გვავსებს, მიუხედავად გარშემო გამეფებული წყვდიადისა. სიყვარულიდან მომდინარე მამაცობით მხარგამაგრებული ძალისხმევაა, რათა ყოველმა ადამიანმა იესოსთან შეხვედრით პოვოს ნამდვილი სიცოცხლე. წმიდანო კირილე და მეთოდი, ილოცეთ ჩვენთვისა და ევროპის ხალხებისთვის!

შაბათი

3მეფ 12,26-32; 13,33-34; ფს 105; მარ 8,1-10

მეცოდება ეს ხალხი მარ 8,2

იესოს მამაზეციერის გული აქვს, ადამიანთა მიმართ თანალმობით სავსე გული. მასთან ახლოს ვიყოთ, რათა ყური დავუგდოთ, მივიღოთ მისი ნათელი და სიყვარული და იგი იზრუნებს ჩვენზე, ჩვენს ყოველ გასაჭირზე, სულიერზე თუ ხორციელზე. მადლობა, იესო: შენთან მსურს ყოფნა, მხოლოდ შენ გესავ.

16 თებერვალი

2020

რიგითი VI კვირადღე, «ა», [II], მწ

კვირა

ზირ 15,15-20(16-21); ფს 118; 1კორ 2,6-10; მთ 5,17-37

ჯერ წადი და შეურიგდი შენს ძმას მთ 5,24

ღმერთი სიყვარულია: ვლინდება იესოს, თვისი ძის საშუალებით, რომელიც დღეს დახსნისა და მშვიდობის სიტყვას მომართავს ჩვენკენ. მის წინაშე წარდგომამდე გვთხოვს, გავერკვეთ, ვართ თუ არა თანხმობაში ძმებთან და, თუკი არა ვართ, ვეცადოთ შევურიგდეთ მათ თავმდაბლობითა და მიტევებით.

თებერვალი

რიგითი VI კვირა [II] მწ

(4.II) წმ. ღირსი ევაგრე მღვიმელი VIს, მონაზ.;
ნ. ქალწ. მარიამის მსახურთა ორდენის 7 დამფუძნებელნი

ორშაბათი

იაკ 1,1–11; ფს 118; მარ 8,11–13

მ. სიმონ კლიმაშევსკის გახსენება (+2006)

თქვენი რწმენის გამოცდა მოთმინებას შობს იაკ 1,3

მრავალი წლის მანძილზე დიდი ძალისხმევის ფასად ვიტანდი ერთი ძმის ნაკლს: საუბრისას მას ნაჩქარევი და ნერვიული ტონი ჰქონდა. რა ასატანი იყო! ვმადლობ, იესოს, რომ შემეწია და გამაძლებინა ჩივილის გარეშე. ვმადლობ მას იმ რჩევებისათვის, რაც ძმებისგან მივიღე, ამეტანა იმის იმედით, რომ უფალი იტყოდა თავის სათქმელს. და მადლობა, რადგან ნამდვილად თქვა კიდეც!

სამშაბათი

იაკ 1,12-18; ფს 93; მარ 8,14-21

ნეტა მას, ვინც გაუძლებს საცდურს იაკ 1,12

დღეს წმიდა იაკობი გვესაუბრება.
გვიჩვენებს იმ სიხარულს, რასაც გამყოფის,
ეშმაკის ცდუნების წინააღმდეგ ბრძოლისას
ვღებულობთ, რათა იესოსთან დავრჩეთ
ერთობაში, რათა გვიყვარდეს იგი,
მისი სიტყვის გაგონებით.

19 თებერვალი

(6.II) წმ. ღირსი არსენ იყალთოელი +1127, მონაზონი

2020

ოთხშაბათი

იაკ 1,19-27; ფს 14; მარ 8,22-26

მშვიდად მიიღეთ
თქვენში ჩანერგილი სიტყვა იაკ 1,21

იაკობ მოციქული გვამცნევებს,
სიყვარულით მივიღოთ ღვთის სიტყვა,
რასაც ვისმენთ წირვაში ან სხვა
გარემოებებში. მოგვიწოდებს, ხორცი
შევასხათ მას და დავყვეთ, რათა
გარდაგვქმნას და გვიწინამძღვროს;
ამგვარად დახმარებას პოვებენ ჩვენში
ისინი, ვისაც შევხვდებით.
სულო წმიდაო, მადლობა, რომ შემეწევი
სიყვარულითა და დამყოლად მოსმენაში.

20 თებერვალი

2020 ხუთშაბათი

იაკ 2,1-9; ფს 33; მარ 8,27-33

ღვთისას კი არ ფიქრობ, არამედ ადამიანისას მარ 8,33

რაოდენ იოლია, პეტრეს მსგავსად უმზირო
იესოს მხოლოდ ადამიანური მოლოდინით!
პეტრეს სურდა აერიდებინა იესოსთვის
ტანჯვა მამის ჩანაფიქრის აღსრულებისას.
იესოს კი მტკიცედა აქვს გადაწყვეტილი
ამ ჩანაფიქრის აღსრულება და ამიტომაც
შეუსწორებს თავის საყვარელ მოწაფეს.
იესო, შენთან ერთად ვლოცულობ:
„მამაო, დაე, ასრულდეს ჩემში ნება შენი“.

21 2020

თებერვალი

რიგითი VI კვირა [II] მწ

წმ. პეტრე დამიანი, ეპ. და ეკლ. მოძ. +1072

პარასკევი

იაკ 2,14-24.26; ფს 111; მარ 8,34-9,1

რწმენა საქმეთა გარეშე მკვდარია იაკ 2,20

მთელი გულით ვმადლობ იესოს, რომ
გამომაღვიძა იმ ძილქუშისაგან, როცა
რწმენა მეგონა მხოლოდ ადათ-წესების
დაცვა და არა მის სიტყვაზე პირადი
პასუხის გაცემა. როდესაც მივხვდი ამას,
გამახსენდა ჩვენი სოფლის ერთი ღარიბი,
და ის ყურადღება, რომლითაც იესო
უყურებს ამგვარ ხალხს, და მეგობრებთან
ერთად შეშა მივუტანეთ და სახლი
შევუთეთრეთ. მადლობა, იესო, რომ შენი
სიტყვის განხორციელების საშუალებას
მაძლევ, რომელიც განაახლებს
და ასაზრდოებს სიხარულით შენს
სიყვარულს ჩვენში.

22 თებერვალი

წმ. პეტრე მოციქულის საყდარი, დ, [ს], თ

2020 შაბათი

1პეტ 5,1-4; ფს 22; მთ 16,13-19

მწყემსეთ ღვთის სამწყსო ღვთისათვის სათნოდ 1პეტ 5,2

ვიხსენებთ იმ ფაქტს, რომ იესომ პეტრე მოციქულს მიანდო თავისი ეკლესია. დღეს პაპი განაგრძობს სიყვარულის, ერთობისა და მღვიძარების ამ მსახურებას, ყველა იმათი დახმარებით, ვისაც უყვარს იესო: ეპისკოპოსების, მღვდლების, მორწმუნეების დახმარებით. ვილოცოთ მისთვის!

ლევ 19,1-2.17-18; ფს 102; 1კორ 3,16-23; მთ 5,38-48

მ. სტეფანე დემურიშვილის (+1938) გახსენება

მთხოვნელს მიეცი მთ 5,42

იესო აღავსებს ძველიაღთქმისეულ
სიბრძნეს, რომელიც უკვე იყო
ერის ნათელი: ითვალისწინებდა
სამართლიანობასა და გულმოწყალებას.
სულიწმიდის ნიჭით იესო ჩვენს გულს
ძირავს მამის გულში: გულში, რომელიცაა
სიფაქიზე და სიყვარული ყოველი
ადამიანისადმი, გული, რომელიც
ხარობს ყოველი შვილის სიცოცხლითა
და სიკეთით, რომელიც გულისხმიერია
ყველასადმი. შენც მიუძღვენი მას შენი
სიყვარული; შეიცნობ ღვთის სიხარულს.

ორშაბათი

იაკ 3,13-18; ფს 18; მარ 9,14-29

ზეგარდმო გადმოსული სიბრძნე წმიდაა, მშვიდი, თვინიერი, მორჩილი, იაკ 3,17

სიბრძნე, სულიწმიდის ნიჭი, ენითუთქმელი სიმდიდრეა. მისი წყალობით ხდები მშვიდი, ანუ, უამპარტავნო სულგრძელი, დამყოლი, რათა მიიღო ძმა როგორც ღვთის ნიჭი, სპეტაკი, უკანა მიზნების გარეშე.

თებერვალი

რიგითი VII კვირა [III] მწ
(12.II) წმ. ღირსი პროხორე,
იერუსალემის ჯვრის მონასტრის ამშენებელი, XIს

სამშაბათი

იაკ 4,1-10; ფს 54; მარ 9,30-37

დაემორჩილეთ ღმერთს, წინ აღუდექით ეშმაკს იაკ 4,7

წმიდა წირვაზე გაჟღერებული იაკობ მოციქულის სიტყვები გულს შუქსა ფენს და ძლიერად მოგვიხმობს მოქცევისაკენ. მოგვიწოდებს თავმდაბლობისაკენ და იესოს სიყვარულისაკენ, სულიწმიდისათვის ყურის დაგდებისაკენ, მდვიძარებისაკენ, რათა არ დავეცეთ ეშმაკის ცდუნებისას.

26 თებერვალი

ნაცრის დაყრის ოთხშაბათი, [ს], [IV] ი

2020 ოთხშაბათი

იოელ 2,12-18; ფს 50; 2კორ 5,20 - 6,2; მთ 6,1-6.16-18

მძიმე მარხვის დღე

მოიქეცით ჩემსკენ მთელი გულით, მარხვით და მოთქმა-გოდებით იოელ 2,12

მამა ღმერთი კვლავ გვიძღვნის ჟამს, დიდმარხვის ჟამს, რათა მოვექცეთ მისკენ, მოვწყვიტოთ ჩვენი გულები ყოველივე იმას, რაც ხელს გვიშლის იესოსთან ყოფნაში. მამამ მოგვივლინა იგი რათა ახალი სიცოცხლე მოენიჭებინა ჩვენთვის, თავისი სიცოცხლე, სიყვარულითა და სიბრძნით სავსე სიცოცხლე.

2020 ხუთშაბათი

რფლ 30,15-20; ფს 1; ლკ 9,22-25

აირჩიე სიცოცხლე უფლის, შენი ღმერთის სიყვარულით რფლ 30,19-20

მამა ღმერთი, თავისი მსახური მოსეს საშუალებით, ამ სიტყვებით ამხნევებს თავის ერს. დღესაც, უფალი იესოს სიყვარულით, მისი სიტყვის ბეჯითად გაგონებით ვირჩევთ სიცოცხლეს.

28 თებერვალი

პარასკევი ნაცრისყრის შემდეგ [IV]ი

2020 პარასკევი

ეს 58,1-9; ფს 50; მთ 9,14-15

განა შეუძლიათ
იგლოვონ მექორწილეებმა,
ვიდრე ნეფე მათთან არის მთ 9,15

ჩვენ, რომელთაც გვწამს იესო, გვმართებს მუდამ მისით ვიხაროთ. როდესაც ვმორ-დები ხოლმე მას, მაშინაა რომ ვგრძნობ შეწუხებას, მოუსვენრობას და განკერძო-ებას. შენ, სულო წმიდაო, შეგვეწევი ვი-ცხოვროთ იესოსთან ღრმა ერთობაში და ვიქცეთ ყველასათვის მის გამომხსნელ და მაცოცხლებელ ყოფნად.

29 თებერვალი

შაბათი ნაცრისყრის შემდეგ [IV] ი

2020 შ ა ბ ა თ ი

ეს 58,9-14; ფს 85; ლკ 5,27-32

მკურნალი ჯანმრთელებს კი არა, სნეულებს სჭირდებათ ლკ 5,31

იესო, შენ არ გაშინებს ცოდვილთა
გვერდით წაბილწვა, როგორც
ეგონათ ფარისევლებს. შენა ხარ მათი
სულების მკურნალი, შეეწევი მათ, შენი
სიყვარულით შეცვალონ ცხოვრება.
მადლობა, იესო, რომ შენიშვნას გვაძლევ,
როდესაც ჩვენი აზრები თუ განწყოებები
არაა წმიდა, არ შეესაბამება შენს
სიყვარულს.